

ქართული
პროლეტარიატი

ნიშადურნი



„ნიშადურზე“ მიიღება ხელის მოწერა:
 ერთი წლით გაგზავნით 5 მან.
 ნახევარი წლით 3 „
 ცალკე ნომერი 10 კპ.



ვინც ერთი წლით „ნიშადურს“ გაიწერავს ყველას უფასოდ გაეგზავნებათ, ნიშადურის კრებული და აგრეთვე ყველა ძველი №№-იც ხელის მოწერა მიიღება წ.-კ. ს. წგნ. მღზ.

№ 28.

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 28.

ძართული ხელოვნება.



იხვე მონა ხარ!...

(19 თებერვლის გამო)

ისევე მონა ხარ, მუშავე ჩაგრულად,
 მშრომელი მაჯა დადუნებულად;
 უწყალო ხელით სისხლი თქვიაღებს,
 ხმა სიმათლისა მიუწყებულად!..

ცისკარი არ ჰკრთის აღმოსავლეთით,
 სუღსა გიხუთავს ბნელი ღამისა;
 დანგრეულ ქოხში დედა შვილს სტირის,
 კვებას ცას სწვდება მომაკვდავისა!..

ღრუბელთა გუნდი გარდაიშალა,
 დაგისუსს სხივი ვარსკვლავ-მთვარისა;
 უდროოდ ჩაჭკნა მინდვრის უვაფილი,
 ქვითინი ისმის შთა და ბარისა!..

ირგვლივ ცრემლები... ჩაგვრა... მონობა...
 აღმართულია წამების ჯვარი!
 ისევე მონა ხარ, მუშავე ჩაგრულად,
 და შენს წამებას არ აქვს საზღვარი!..

პასუხად გაზ. „აზრს“.

სოციალ-დემოკრატიის სოფლად

(შემდეგი)

V

„ნიშადურში“ მოთავსებულ წერილებში „სოციალ - დემოკრატია სოფლად“ აღნიშნულია მრავალგვარი საზიზღრობანი, რომელსაც სხადიოდნენ რაზმელები და პროპაგანდისტები ქართლში სოც.დემოკრ პარტიის სახელით, ორი წლის განმავლობაში, როგორც „ერთობის“ დროს ისე რეაქციის შემდეგ. ამ წერილებში ინიციალებით არის აღნიშნული, როგორც ის სოფლები, სადაც ხდებოდა ეს საზიზღრობანი, ისე ამ საზიზღრობის ჩამდენთ გვარები და აგრეთვე ის პირები, რომლებიც იყვნენ მოკლულნი, გაძარცვულნი, გაუპატიურებულნი და სხვა. და გვიკვირს „აზრის“ რედაქცია განგებ თვალებს რათა ხუჭავს?..

ხოლო თუ გაზ. „აზრის“ რედაქციას ექვი აქვს ამ სიმართლეში, „ნიშადურის“ რედაქცია მოიწვევს „აზრის“ რედაქციას ჩვენთან ერთად შეამოწმოს ადგილობრივ ყველა ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტები.

მაგრამ ძალიან ვეკვობთ, „აზრის“ გულწრფელობაში.

ნუ თუ მართლა არ იციან გაზ. „აზრის“ რედაქციამ, მისმა თანამშრომლებმა და თანამოაზრეებმა „ნიშადურში“ აღნიშნულ ფაქტებზე უარესი ამბები სოფლად „ახალთაობის“ სახელით ჩაღწილი?

ნუ თუ „აზრის“ რედაქციამ არ იცის, ვინ მოჰკლა 1906 წ. 27 აგვ. ს.-დ. ნიკა მინდიაშვილი და რად?

„აზრის“ რედაქცია გვიბძანებს, რომ პროვოკატორობა გავსწიოთ ბოროტ-მომქმედთა დასახელებით. დაე „აზრმა“ დაასახელოს თვითონ სოც.-დემ ორგანიზაციის წევრები, სოფლად და მაშინ ჩვენ მიუუთითებთ ზოგიერთ მათგანზე.

დასასრულ, „აზრი“ საზოგადოებას იწვევს ჩვენ-და გასასამართლებლად. ჩვენც ჩვენის მხრივ მივმართავთ ამავე საზოგადოებას და საქართველოს შევიწროვებულს ხლებ-კაცობას და ვსთხოვთ, იქონიონ იმდენი მოქალაქეობრივობა, რომ პირდაპირ დაასახელონ: ხდებოდა თუ არა ყველა ეს საზიზღრობანი სოფლად და რომელ პარტიის სახელით*).

რედაქცია.

შენიშვნა: რედაქციას უკვე მოხდის საქართველოს ყველა კუთხიდან წერილები, რომელშიაც აღნიშნულია უარესი საზიზღარი ფაქტები, რითაც რედაქცია შემდეგში ისარგებლებს.

ამ გვარი ძარცვა გლეჯა, როგორც ზარტიის სახელით, ისე მალულად, ვაზაკურად, არამც თუ ხშირად იყო სოფლებში, არამედ მთელი სოფლების მცხოვრებნი, როგორც თავად-ახნაურობა და ვაჭრები, ისე გლეხები მწველელ ძარცვებზე იყვნენ გადაქცეულნი ამ „იდეურ ვაზაკთა“ ხელში, და სოფელი უსიტყვოდ გმინავდა მთელი ორი წლის განმავლობაში. „თავისუფლების“ დროს, როდესაც გლეხს კისრიდან გადმოგდებოდა ჭკვავა მისი მუდმივი მძარცველები: თავად-ახნაურობა, სმდვდელობა, ზოდინა და ათასი სხვა გვარი წერილი წურბელა, გლეხს არ მოჰკლებია არც მამულის გადასახადი, არც ბეგავა, არც „ფასტის“ ფული, არც საერთო გარდასახადი, არც დრამის ფული, არც სოფლის ადმინისტრაციის შენახვა, არც უთავბოლო ძარცვა-გლეჯა და არც ცბიერობით ფულის დატეუება. ეგვლა ეს ხდებოდა გლეხს ორ-ზომად, სშირად ათ-ზომადაც. დაუჭერებელი ამბობია, არა მკითხველმ? დაუგდეთ ყური „ახლად მთავრობის“ მოქმედებას!

როგორც ზევით მოგახსენეთ, თავდაახნაურობის ჩამოშორებით გლეხს არაფერი შეჰქმეტებია. სხვა და სხვა გარდასახადებს რომ არ შეეხებოთ, გლეხი როგორც ტყეს, ისე სახანაში ისდიდა ბაჟას და დაღას „ზარტის-სოფის“. თვით გლეხები ღაზარაკობენ: წინად მიწის ზატრანს მისცემდი მოსავალზე ორ-სამ კოდს დაღას, თუ არაფერი მოგივიდოდა, არც არაფერს მისცემდი, შენ რაც დაგჩებოდა კემრეულად მინც შესჭამდი. ერთი სატყვით იცოდი, რაც კქონდა გადახდილი და შენ ბედს ურიგდებოდი, „ერთობის“ დროს კი არ იცოდი რამდენი გადაგხდებოდა და არ იცოდი რამდენი ბატონი უნდა დაგკმყოფილებინა. მისცემდი ერთს, აგერ გამოხნდებოდა მეორე, იმასაც მისცემდი, გამოხნდებოდა მესამე და სხვა. წინად ტეიდან ტივსა, ან შეშას რომ გამოიტანდი, იცოდი ბაჟი რა ჰქონდა და ამის ანგარიშით იქცეოდი, ახლა კი მოსჭრი ტივს ან შეშას, წამოიღებ სახლისკენ და არ იცი, ხის მთელს სადინდას გადაიხდი, თუ სულაც წაგართმევენ. ასე ღაზარაკობს გლეხი, ეს სიტყვა-სიტყვით მისი ნაღაზარაკობა და ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ ან გლეხი და ან ამ სტრუქტურების ქაღალდზე გადმოიტანს თანაუგრძობადეს, როგორც წინანდელს, ისე ახლანდელს ცხოვრებას გლეხისას და მზად იყოს, ტაში დაუკრას იმ უსამართლობას, რომლის შეთხებით გლეხი დღესაც ვერ გამოსულა ზირუტევის მდგომარეობიდან. არა! გლეხი ეგვლა ამას დღეს უფრო გძნობს, მაგრამ ხომ გაგვიცხიათ ძველი ბრძნული ანდაზა: ჭირს მოგცემ, ჭირს დაგვიწყებო. ეს ანდაზა სავსებით გამოხატავს გლეხის დღევანდელს სულისკვე-





თებს. „ახალი მთავრობის“ ჭირმა მთლად და-
ვიწყა გლეს ძველი მთავრობის ჭირი „ახალმა
ბატონებმა“*). შეაყვარეს გლეს ძველი ბატონი.

მოგვსენებათ, რომ ქვემო-ქართლში მეპატონის-
გან გლეს ბეგარად აძვეს ძველი, წელიწადში ერთ-
ხელ ან ორჯერ ბატონს უნდა მიართვას ცხრა ზური,
ქათამი, ცხვრისა ან ღორის ბეჭი, დოქი ღვინო და
სხვა. ასედა თუ არა გლეს „თავისუფლების დროს“
ეს ბეგარა? არამც თუ არ ასედა, ერთი ასად მიემატა.
განადა სოფელში მთელი ხროვა რაზმელებისა
გამოვიდოდა ბატონს: ამა და ამ ღვინოს კარგი ძველები
მიიტანეთ. ვაი იმისი ბრალი, ვინც მჭლე დედას
მიიტანდა, ან თუ ღვინო კარგი არ იქნებოდა. მათრ-
ხით აუტრელებდნენ ზურგს და მსუქან დედასე კა-
ზანდნენ სახლში. ჩამოხტებოდნენ გლეს ოჯახში
დამით, ქალებს უბძანებდნენ: კარგი ვახშიში მოგვიმზა-
დეთ, ხალხი მამაკაცებს ეტყობდნენ: კადით კარში და
კარგად უუერთ, რომ მტერი არ მოგვეზარდოს. სახ-
ლის ბატონნი მთელი დამე, ხშირად ზამთარში, კარ-
ში ძაგაკებდნენ. რაზმელი და ზრანგანდისტები კი
შუა დამედის იქეიფებდნენ, კარგად გამოთვრებოდნენ
და შემდეგ მშვიდობიანად და უშიშრად ტკბილად მი-
ძინებდნენ.

სოფელ ქ—ში ერთ გლეს ქორწილი ჰქონდა სა-
ხლში. სოფრამ რომ გაშლეს და სიდალზე დაჯდომის
ეპირებოდნენ, სიდაგანდაც კანდა მთელი ხროვა რაზმე-
ლებისა (ეს იყო რეაქციის დრო, როდესაც რაზმელებს
სასტიკად სდევნიდნენ). მეტი ჯანი არ იყო, მისხინძე-
ლმა მიიწვია რაზმელები და კამარტა ქეიფი. სოფრამ
ზე ბატონობდნენ რაზმელები. მღეროდნენ, არშიეობდ-
ნენ და „ნეფე-დედოფალს“ არავითარ უურადლებს და
ქვედნენ. ბოლოს შემთვრალმა რაზმის უმფროსმა
„ნეფე“ ადგილიდან წამოაგდო, მისი ადგილი დაიჭირა
და ბატონადს არშიეობა გაუბა. ხალხი აღმოეთდა, მა-
გრამ შეიარაღებულ რაზმელებს ვინ რასმე გაუბედავდა.
ბოლოს ერთმა გლესმა თავაზიანად მოახსენა: ქალებს
ეშინათ, სიდანიმე კაზაკები არ განდნენ და უბედურე-
ბა არ დატრიალდეს, რომ მიართვით სიდალი, კთხოვთ,
ახლა მიბძანდეთ. ეს იწინეს რაზმელებმა, დაერინენ
მათრახებით სტუმრებს, ასტენეს ბერდანიკებით სროლა.
(ნახევარ ვერსზე. რკინის გზის სადგურზე მთელი რ-
ტა იდგა სადღაბებისა და თოფის ხმა რომ გაეგონათ,
მთელ სოფელს აიკლებდნენ!) ბოლოს დამუქრენ სახ-
ლის ბატონს მოკვლას, წართვეს მექორწილებს მე-
ზურნეები და თოფების სროლით წავიდნენ.

ბევრ-გვარი ბატონი უნახვას გლეს, მაგრამ ამ
გვარ ბატონებისაგან დმერთმა დაიფაროს!

არ ასედა გლეს არც მღვდლების მიერ დაწესებუ-

ლი გარდასახდები. ზრანგანდისტ-რაზმელები მი-
ლეები სომ იყვნენ, ზოლიციელებიც; სოფელ გერში,
ადგილიც დაიჭირეს. სოფელ გერში, გერისთობას, სა-
დაც თათქმის მთელი ქართლის მცხოვრებნი იყრან თავს
და სიდაც აურებელი საქონელი იკვლის, რაზმელ-ზრ-
ანგანდისტებმა გამართეს დუქანი და იღებდნენ ხალხ-
საგან როგორც ადგილის ქიანს, სახლის ფულს და
სხვა, ისე ყოველ დაკლულ საქონლის ტყავს, ბეჭს და
თავფესს. ხალხს ეუბნებოდნენ: ეს ზრტიისთვისაა,
მაგრამ დღეობის შემდეგ რაც კი რამ მოაგროვეს,
ფულად აქციეს და თანასწორად დაიფეს.

ამ ფექტს ნიმუშად მოგახსენებთ, სხვა ფაქტების
აღნიშვნა მეტია. აი კიდევ ნიმუში სხვა გვარ ბეგარისა.

დაბა ს—ში ამ უზარმაზარ რაიონის უფროსმა ზრ-
ანგანდისტმა, მ—შვილმა ერთ დღეს, ერთი მიტინგიდან
რამდენიმე რაზმელი გაგზავნა დაბაში ცხენების მოსა-
როგებლად. ქადაქიდან ზრანგანდისტები არიან მოსულ-
ნი, სოფლებში უნდა წავიდნენ და ცხენების საჭიროვო.
თან დაუსახელა ის ზირები, ვისთვისაც უნდა გამოერთ-
მიათ ცხენები. ცოტა ხნის შემდეგ, რაზმელებმა მოი-
ვანეს რამდენიმე ცხენი. ერთმა რაზმელმა სთქვა: ამა
და ამ გლესმა ცხენი არ მომცა, სხვაგან ვიყავი, ეს
არის ესლამ მოგვიდა და ცხენი მეტად დადალოეთა,
როცა არ მოვეშივე, სამი მანათი მომცა, იქნებ სხვის-
გან იქირათო. რაიონის უფროსი განრისხდა, სამი მ-
ნეთი გამოართვა რაზმელს, ჯიბეში ჩაიღო და უბძანა:
წადი ახლავე და იმ კაცის ცხენი აქ მოიფანეთ. საბ-
რალა გლესს სამი მანათიც წართვეს და ცხენიც. წი-
ნათ ბეგარის მომკრეფი სოფელში გლესს ან ცხენს გა-
მოართმევდა, ან ქრთამს!

ეს ამგვარი ბეგარები და გადასახდები, რომელიც
რომლებიც გლეს წინადაც და ახლაც ხდება. „თავისუ-
ფლების მოტრფილად“ ვაუბატონებმა სხვა ბეგარებიც
შემოიდეს. მოვიდოდა სოფელში ზრანგანდისტი და
კასტემდა ბრძანებას: ხვალ გამოდით ყველა მინდროში,
მიწები უნდა დაგოეთ. შორე დღეს გამოაშლებოდა
მინდროში ქალი და კაცი, დიდი და ბატონა. ზრანგან-
დისტი აიღებდა გქელ თოქს ხელში და შეუდგებოდა
მიწების დანაწილებას, ასტეებოდა ხალხში ყვრილი,
ხნობი, ავალ-მაცადი: შენ ბევრი გიჭირავს, მე ცოტა!
შენ კარგი მიწები გიჭირავს, მე ცუდი! ამ მიწას მე
ვხნავდა, მე უნდა მერგოსო! მე წვრილ-შვილი ვარ,
მეტი მიწა მეკუთნისო და სხვა. აქ გლესები ერთმ-
ნეთს თავ-ზიან ამტრეკვდნენ, ზრანგანდისტს კი ეჭი-
რათო თოქი ხელში და უნაწილებდა მიწებს. გადაზომავდა
რამდენიმე დღიურ მიწას და დაუბნებდა ერთ გლესს:
აი, ბეტრე, შენ გერგო ხუთი დღის მიწა, გასწომო
დღიურში აბახი უნდა მომცე, მერგება ერთი მანეთი,
აბა ჩქარა ამოიდე.—მადლობელი ვარ, შენი ჭირიმი—
მოუხდოდა ქედს გლესი და ჯიბისკენ ხელს წაიღებდა.
—შენ, ივანე, გერგო ექვსი დღის მიწა, ჩამოდი ექვს

*) ერთმა ჩვენმა წწერალმა ამ სათაურით დასწერა ახ-
ალი მოთხრობა, რომელიც უკვე იბეჭდებოდა.



საამო ოცნება — ბუგეროს ნახატი.

სახსის! — მიუბრუნებოდა მეორეს. — ექვს სახს კი მოგართმევ, შენი ჭირიმი, მაგრამ მიწები არ ვარგა, მშიერი მიწებია — ევსტრებოდა გლეხი და აძლედა ფულს. ამ გვარად რამდენიმე დღის განმავლობაში ეს „სახს-ლი ქვეყნისა და სახლი ცხოვრების“ „ზემლეში“ დაუნაწილებდა გლეხებს მიწებს და სავსე ჯიბით მეორე სოფელში მიდიოდა.

ზოგაერთს ამ გვარი პოლიტიკაც კი არ სჭირდებოდა. ის უგლეფდა ხალხს აშკარად და უბრალოდ. ერთ ხანად თბილისის მახრის სოფლებში დადიოდა ერთი პრინციპალი და ხალხში ფულს აგროვებდა.*) მოვიდოდა ერთ სოფელში და გამოუცხადებდა ხალხს: პრინციპალი გამომგზავნა, ჩქარა ამდენი და ამდენი ფული მოაგროვეთ და ჩამაბრეთ. — ბატონო, სადა გვქვს ფული, გავტყუდით მთელი სოფელი რომ მოხსნივით, მაგდენს ფულს გერ იშოვით. — ეტყოდნენ ქუდ-მოხდილი გლეხები. — აა, თქვენ არ მძლევეთ ფულს, კარგი მამა! — ამ სიტყვებით პრინციპალი ავიდოდა რომელიმე სახლის ბანსე, ამოიღებდა ჯიბიდან კარგა მიზრდილ შავ, რეზინის ბურთს და პატრიუტად დაიძახებდა: ამ ერთ საათში თუ არ მოგიგროვებთ ფული, ხომ ხედავთ ამ უუმბრანს, გადმოვაგდებ აქედან და მთელ სოფელს მტვრად ვაქცევო! ქალები და ბავშვები ასტეხნენ წვილ-კვილს, ხალხი მამაკაცები და უხრქებდნენ: ნუ იზამ მკას, ნუ დაგდუშავ, შეგვიბრალე, ფულს ამ საათში ჩიკაბარებთ. ფულს ჩაბარებდნენ და პრინციპალი გადადიოდა მეორე სოფელში.

აი, როგორ იგდებდნენ მისხარად „თავისუფლება-სთვის მეტრძღინი“ სოფლებს და როგორ სძარცვავდ-

ნენ ისედაც გაძარცვულს და გატყუებულს. დახსნა ამას მიუმატეთ ის ძარცვა-გლეჯა იარაღით და ქურდობა, რაც ზევით აღნიშნულ და შემდეგ ვიკითხოთ: მართალია, თუ არა გლეხი, როდესაც ის ამბობს: თუ მაგარი უფილა ძიობა, ერთობა, თავისუფლება, მე არ მინდა, დემოკრატია თქვენ მოგახმარებთ? იმის შემდეგ, რაც იმან თავის თვალთ ნახა, დაუჯერებს და მიხევეს გვერდში მართლად რომ წრფელსა, იდეით გამსჭვალულსა და გაცნებულს, თავისუფლებისთვის ნამდვილ მეტრძღინად აღიქვას?

(შემდეგი იქნება)

ხეობელი.

19 თეზისვალი

მონებს გადუგდეს თავისუფლება,
სიმშობისაკენ გზა დაულოცეს,
მისცეს ლატაკებს სიკვდილის ნება,
კენესა-ქვითინის დასტური დასცეს!

აჰა, აღსრულდა... ბატონო სურვილი:
თავისუფლება დადის ბორკილში,
„ძირს მწარე ხუნდი, ან და სულ გავწყუ-
დეთ!“

იმის ამავე დროს მონათ ქვითინში!
დაიგუგუნებს მალე იგი ხმაც,
წამოვა ტალღა, ზღვა შეირყევა,
და განთიადზე ძველი ბომონი
ძირს დაემხო, ჩამოინგრევა!


ი. ევლოზილი.

აზრი და გრძობა

I

აზრი და გრძობა წაეიდნენ
დასასვენებლად მთაზედა:
გრძობამა კრიფა ყვაილნი,
კაბად ჩაიცვა ტანზედა, —
ათას ფრად აჭრელებული
ყვაილებისა ნაკერი
ყველას ჰპოვებდით კაბაზე
ყვაილი გინდათ რა ფერი.
აკენადა ჰქონდა ნიაფი,
მადლ-სხურებული, მთებისა,
ზედ ერწეოდა ბავშვივით
და მადლი იმის თმებისა
ნამს აპკურებდა მიწასა,
მარგალიტებად სციოდა,
ნაირ-ნაირი ყვაილი
მიწიდან ამოდიოდა.
სტკებოდა ჯიხვების ხტომით,

*) ეს ფაქტი ბაზეთებშია ცნობილი აღნიშნული.



ჩასძინება — არონსონის ქანდაკი.

ფრინველებისა სტვენითა
და ღამე საიდუმლოის
მთათ მწვერვალების ფშვენითა.
ანგელოზების ნანინა
ატკობდა აღმა-ფრენითა.
სულ დაავიწყდა ქვეყანა
მისი ღმერთი და ვარამი
ისიც, ვინც განცხრომით სცხოვრობს
და ვისაც ესვა ბაღლამი.
აზრი, ვით ხარი მანძილა,
იარებოდა დინჯადა,—
ტანს არ იმშვენებს ყვავილით
თუმც მცენარეებს სინჯავდა.
უვნებელს სძოვდა, სცოხნიდა
სამავენებლოსა სწიხლავდა.
და მთების გაჩენისათვის
ღმერთსაც მადლობას სწირავდა.
ზაფხული იყო მაშინა:
მთა-ბარს ბუნება ქველობდა,
მწერი და არსი ყოველი
გალაღებული ხელობდა;
მთაში გრილს ნიავს უბერავს,
როცა ბარშია ცხელობდა.
მთის მწვერვალზედა მდგომარე
მკერდს მიუპყრობდა ნიავსა.
აღერსიანად გასცქერდა,
იმ არე-მარეს მთიანსა.
მომავალზედაც ჰფიქრობდა
რომ მოიტანდა ზიანსა.
ჯერ არ შეჰყროდა გრძნობასა
უღარდელს, თავაზიანსა.

II

რა ქმნა ქვეყანამ მაშინა
უგრძნობ-უაზროდ გდებულმა?
ერთმანეთს ჰამა დაუწყო
ყოველმა მირონ-ცხებულმა.

ძმამ-ძმას სამარე უთხარა,
შვილი დაარჩვა დედამა,
თვალეში შხამი ჩაასხა, **ეროვნული
გიგლიოთქვა**
მშობლების თვალთა ხედვამა.
გაქრა ყოველგან, გაქარწყლდა
სიპართლის ყველა ნასახი,
გამეფდა მხოლოდ მგლის მადა
ძალა, დანა და მათრახი.
ქარა-მტვრად იყო ქცეული
ენა წყლიანი, მუდარა,
ისმოდა ერთისგან სხვაზე
მხოლოდ წყველა და მუქარა.
ტანთ ეცვა ტურფა სამყაროს
როგორაც ცხედარს სუღარა.
ღრომ განვლო, მოულოდნელად
ბუნებამ ფერი იცვალა.
რაც სამკაული ტანთ ეცვა
ვხედავ რომ გამოიცვალა;
ბალახნი ყვავილებითურთ
ჩახდნენ, მიჰბარდნენ მიწასა,
ლოლიაობა მოსწყინდა,
აღარ სცალიან ძიძასა.
და გაუთეთრდა თმა-წვერი
ბუნების მხცოვან ბიძასა.
თვალს რომ ვავლებდი, ვხედავდი
თმა-წვერს მაღალის მთისასა
ძალა-უნებრივ წარმოვსთქვი.
„გმირო, ვაჰ დედას მტრისასა!“

III

აზრი შემოჰხვდა გრძნობასა—
ბაღლს თავ-პირ ჩამომტვრეულსა,
გუშინ, გუშინ-წინ მოღმინარს,
პეპელასავით მფრინავსა.
გაჰხუნებიყო სამოსი,
შემოსქნობოდნენ ყვავილნი,
ტირილად გადაჰქცეოდნენ
ღღენი სიამით განვლილნი.
„აბა, რას ჰჟიქრობ, ღობილო?!
ეუბნებოდა გრძნობასა:
„აქ უნდა მოველოდინოთ
ახალ-წელსა და შობასა.
ზამთარი მოდის, სიცივე,
ის გაგვიმწარებს ყოფასა
გავშორდეთ აქაურობას,
სჯობს ჩავიყარნეთ ბარადა.
იქ ისევ მწვანობს ბუნება,
საამო თვალად-ტანადა.
თუ არ წამოხვალ, იცოდე,
რომ გაგიყოლებ ძალადა.
— რაღა? ხვალ გამოიდარებს,

წამოიძახა გრძობაშია:

— აქ მირჩევნია ცხოვრება,
მიმილტო მთების ცნობაშია.—
„სტყუედები, ბრიყვო, ცხრა თვემდე
ვერ ჰნახავ უკვე ნახულსა:
დაგაზრობს ყინვა და თოვლი
კოპწიას, გამოპრანქულსა,
და სადმე კლდეზე სულს დაჰლევე
სიცოცხლის მწყვევარს, ტანჯულსა.
გრძობა უარობს, აზრი კი
სწყრება და ჯავრობს დიდადა
და რაკი გრძობამ უარპყო
მისი ნათქვამი მშვიდადა
გაჯავრდა აზრი, აღეღვდა
ფრთა გაჰკრა ხელად ყბაშია
გაიგდო წინ და ერთ წუთას
ჩამოიყვანა ბარშია.
და რა იხილა ორივემ
თვის სამფლობელო ძველია,
წარმოიდგინა მთას ყოფნით
რაც ცოდვა ჩაუდენია.
გაერთხნენ ადამიანთა
ძველებრივ გულსა, გონშია,
დაიდვეს უკვდავი ბინა
ადამიანთა ტომშია.
რომელი რომელს სჯობია,
ვერაფინ იტყვის,— ორშია.
საქმე კი მოხდა საგრძობი,
თქმულა წინანდელს დროშია:
სულ შეიცვალა ქვეყანა,
მის მოქმედება ყოველი:
გამკითხველი ჰყავს სოფლადა
თუ ვინმე არის მთხოვნელი,
ტკბილად ეკრობა დედის მკერდს
ყრმა ჩჩვილი, ძუძუს მწოვნელი.
დედაც შეჰხარის პატარას
ტკბილის სიტყვების მთხოვნელი.
გრძობა ცეცხლს ანთებს, აზრი კი
შეშისა არი მშოვნელი.
იპოვა გრძობამ ადგილი
თავისა დასადგომელი.
აზრმა დაბლუჯა ძარღვები
ადამიანის ტვინისა.—
ეჯავჯგურება რაც ძალ-უძს
მავთულებს ვნებათ ჟინისა,
ასწავლის გრძობას ვნებიანს
სმა როგორ უნდა ღვინისა.
მოაწესრიგებს გლოვასა,—
სამზღვარი იცის ღვინისა.
გზის მიმცემია გრძობისგან

მოწონებულის ძილისა. **ეროვნული**
ათირებს, როდესაც გრძობა **სოციალიზმი**
ჩჩვილი ყრმასავით სტირისა.
ხან გლოვა გვესმის სოფლადა,
ხან ჟრიამული სტირისა.
სჯაბრობენ ერთი-მეორეს,
როგორ აჯობონ ვინ-ვისა.

ვაჟაფშაველა.

პრიპინა და პინაშველა

(არაკი)

პრიპინამ მთელი ზაფხული ხტუნვასა და პრიპინში გაატარა. მოვიდა ზამთარი. შიმშილმა და სიცივემ პრიპინა შეაწუხა. წავიდა მიადგა ქიანქველის კარსა და შეეხვეწა:

— ძმობილო, ოღონდ ამ ზამთარს შემინახე და მერმის მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ, თუ როგორ გადავიხდი.

წადი, ძმაო, როგორც ზაფხულს გიხტუნავს ახლაც ისე იხტუნეო,— მიუგო ქიანქველამ და ეგონა: ახლავ გამეცლება შერცხვენილიო.

ის კი არა, სწვდა პრიპინა ქიანქველას გაწვრილებულს წელში, გასწყვიტა შუაზედ და ნახევარი იქით გადაადგო, ნახევარი აქეთ. მერე შევიდა ქიანქველის ბუდეში და მის ნაჭირნახულეებს დაეპატრონა.

— იცოდე, შვილო, ღონიერს თუ მოშივდა, ნამუსი დაეკარგება.

რიშ ბაბა.

საიდუმლო

(თავისუფალი თარგმანი მ. ა. ბარეტოვსკიდან).

ვერვინ გაიგებს ჩემს საიდუმლოს, მგზნებარე გულში ის ჩამარხულა; არც ვავამჟღავნებ სწორ-მეგობრებში, გრძობასთან ერთად რომ დაუარულა!

არ გავენდობი სატრფოს გულისას, ღამე მძინარეს არ წამომცდება; ის მანუგეშებს და გულს ის მითბობს, თუმც ხან ვით მეხი თავსა მატყდება!..

იგი ღანდია, სიზმრად ნახული, არა მშორდება— განუყრელია; ცხადად თუ ძილში მე თვალ წინ მიდგა და ვით ნაღველი გულის მღრღნელია.

არა მგონია განზორციელდეს, — უწყალოდ ყველა წინ ეღობება;



ტკბილი იმედი მისთვის არ ჰყვავის, ვერც გაზაფხულზედ გადიფურჩქნება.

მაგრამ ვიქნები მისი ერთგული, ჯერ კიდევ დიდხანს ის მანუგეშებს; დაე, გულცივი წუთი-სოფელი იმ საიდუმლოს მე ვერ მიმიხვდეს...

მსხვერპლი ვარ მისი დიად აღთქმისა, ის თან ჩამყვება მე სამარეში; და იმ დრომდე-კი, ჰე, საიდუმლოვ, უნდა იყუჩო გულის სიღრმეში!..

ა. შ—ლი.

„ინტელიგენტ“ „სევდა“-ს საყურადღებოდ.

თუ კი ვისმე ნაღველის გაქარვება, ბრაზის გადმონთხევა, საბრალო ქართულ თეატრისა და მის მუშაკთა დაუმსახურებელი გლანძღვა უნდა, სანიმუშოდ მივუთითებ ბ. „სევდის“ უგერგილო ბროშიურაზე.

ამ ვითომდა კრიტიკოს-ვაჟბატონის აზრით, ქართული თეატრი თავქვე დაქანებულა, მის სეთავეში უსაქმურნი და უნიჭონი ჩამდგარან; განა არა ღირს ყველა ეს, იმათ, რომ მოვეუხმინოთ ნიჭიერ „სევდა“-ს რომელიც გულის ტკივილით ჰგოდებს და მოსთქვამს?..

... „რატომ არის ეს ასრე? რამ შეჰქმნა ასეთი მდგომარეობა? რა ეშველება ამ საქმეს? აი საკითხი, რომელსაც დაუყონებლივ უნდა გავსცეთ გადაჭრილი პასუხი, თუ არ გვინდა, რომ სამუდამოთ არ ვაპქრეს ეს ერთად ერთი საუკეთესო და უსაჭიროესი დაწესებულებათაგანი“-ო. როდესაც ეს სიტყვები ამოვიკითხე, იმედი მომეცა, ბ. „სევდა“ ახლა კი დაასახელებს იმ საშუალებას, რომლის მეოხებითაც თეატრის საქმე გემობრუნდება-მეთქი, მაგრამ ქვემოთ ამოვიკითხე მხოლოდ: ლანძღვა, ლანძღვა და ლანძღვა...

ბ. მესხიშვილი და ქ-ბნი ჩხეიძე თურმე დღევანდელ სცენის მმართველებს გაქცევინან, (უკაც-რავად) გაუძევებიათ... ეს ორი ნიჭიერი ადამიანი ვერ შერიგებიან იმ მდგომარეობას და პარობებს, რომელიც ადამიანისაგან გმირობას მოიპოვებს, რომ დარჩეს და იმუშაოს.

შუბლ გარეცხილობაც ასეთი უნდა, ბ. „სევდა“! ალბათ თქვენ პირადათ ვერ იცნობთ ამ ორ მსახიობს, და არც საქმის მდგომარეობა იცით და ამიტომ უნდა მოგახსენოთ: თქვენი სიტყვებით იმდენათვე შეურაცხყოფთ იმათ, რამდენათაც კი გამოსარჩლება გინდოდათ.

საბუთებისათვის შორს არ წავალ. მესხიშვილის გაძევება, ავადმყოფი გონების გამოქორებულია ხოლო ქ. ჩხეიძე კი, მგონია თვითონ აიმაღლებს ხმას და გეტყვით: „სტყუით ბ. სევდავ!“

ჩემის მხრით-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ქართულ სცენის არც ერთ მუშაკს ჯერ არ შეხვედრია ის პატივისცემა, ნაკლები შრომა, და გცილებით მეტი შრომის ფასი, რაც ქ. ჩხეიძემ და

ლადო მესხიშვილმა დაიმსახურეს, ამის დასაშტკიცებლად მ. საფაროვ-აბაშიძის, ნ. ვაბუნიას და თვით ვასო აბაშიძის ჯამაგირი კმარა, რომ მივიღოთ მხედველობაში. ამის გარდა დასის აწინდელმა გამგებამ ჯერ კიდევ მაშინ გაუგზავნა მოწვევის ბარათი ქ-ნ ჩხეიძეს, როდესაც სხვა მსახიობები ისევ კარზე იყვნენ და წრევანდელს სეზონშიაც იმდენი სასყიდელი შეაძლია, რამდენიც არც ერთ ჩვენ ნიჭიერსა და დამსახურებულ მსახიობს სიზმარშიაც კი ვერ მოეღიანებდა.

მაგრამ უკაცრავად, მესხიშვილის და ჩხეიძის გარდა, თქვენ ქართულ დასში არტისტათ ხომ აღარაფ-ნა გწამთ, მამასადამე აქ ხარისხზე და ღირსებაზე ლაპარაკიც-კი მეტია...

ქ. ჩხეიძე დათანხმდა, რომ გასტროლი ჰქონოდა. მერმე იცით რას იღებდა ერთს საღამოს? იმდენს, რამდენსაც ჩვენში, თქვენ მიერ შეუნიშნავი მუყიათი და ბეჯითი მსახიობი ერთს თვეში ვერ იღებს ხოლმე.

სრული სიმართლეა, რომ ქართველი საზოგადოება ამ ბოლო დროს არა სწყალობს თეატრს — მაგრამ ამის საპასუხოთ გავბედავთ და გ პასუხებთ, რომ ქართული თეატრის დარბაზი მაშინაც ხშირად ყოფილა ცარიელი, როდესაც ეს ორი ნიჭიერი და „დევნილი“ პიზი იღებდა ხოლმე მონაწილეობას.

თუ კეთილს ინებებთ: შესწუხდით და გადაათვალიერეთ აღნიშნულ წარმოდგენების ანგარიშები — მაშინ აშკარად დარწმუნდებით ნათქვამის სიმართლეში, სევდიანო „სევდა“...

რომ გეთქვათ: ქართული თეატრი უძღურთა თავ-შესაფარისა, ამაზე უფრო მალე დაგეთანხმებოდით, ვიდრე ყველა იმაზე, რაცა ბრძანეთ, იმისათვის, რომ ვისაც რა უნდა დაემართოს და გაუჭირდეს, ყველა იქ მოატანს ხოლმე, და თუ ამ სტუკირის განკურნება ან სცენამ და ან მსახიობებმა ვერ შესძლეს, მაშინ: „მშვიდობით მხიარულო კმაყოფილება“, ქორებს, ლანძღვა-გინებას და ათასგვარ საყვედურს ბოლო აღარ მოეღება, სულ ყოველთვის იმის მოლოდინში უნდა იყო, რომ ვინმე შუბლ-გარეცხილი ბეჭდვის საშუალებითაც კი აიმაღლებს ხმას...

ძიულებული ვარ კვალ-და კვალ გაგყვით ბ. „სევდავ“.

ყოველის უწინარეს საყურადღებოა თქვენი პსევდონიმი. „სევდა“...

არა მგონია ქართულ თეატრის უნუგეშო მდგომარეობას გაეღვიძებოთ თქვენს გულში ეს სევდა. მოსიყვარულე გული, რამდენათაც მხურვალეა, იმდენად ღმობიერი და სამართლიანია. თქვენი გული კი ბ. „სევდავ“ პირველ თვისებას და უკანასკნელ მადლს სრულიად ჩამოშორებია, და ნურას უკაცრავათ თუ თქვენში მე მხოლოდ მტერი, და ისიც პირ-ახეული მტერი, მეგულება.

დავიწყით იქიდან, თუ რამდენად მართალი ხართ, როდესაც ქართველ მსახიობში თქვენ მხოლოდ სრულს არარაობასა ხედავთ, უინტელიგენტობას, მოუზადებლობას და, დასასრულ, იმ გზის



„გამოძახილი“ — ზეიფერტის ნახატი.


არცოდნას, რომელი ენითაც ის ყოველთვის გველაპარაკება.

„ენის კილო ნამდვილ ავლაბრულ კანტორი“ აქეთო—ბრძანებთ, ბ-ნ სევდავ!

არ ვიცი ამ სტრიქონებს, რომ სწერდით, რასა გრძნობდით? მე კი, ვერ დავმალოვ და გიპასუხებთ, რომ არც ერთი „უწვრთნელი“ ქართველი მსახიობი ისე აბუჩად არ მოეკიდებოდა, არამცთუ რამდენიმე პირს, არამედ ერთ ათვალწუნებულ მტერსაც კი, როგორც თქვენ. თქვენ—სრულიად უსამართლოდ, უზრდელოდ და უსუსურ ბაღსავით მოექცეით, როგორც გამგეობას, ისე მსახიობთა მთელ ამხანაგობას.

წარმოდგენები ისე რომ ვერ იდგმება, როგორც რიგი და წესია, ამას ყველა ნათლად ხედავს, მაგრამ ეს ორი სიტყვით გამოსათქმელი ნაკლულეფანება, განა ისე ვერ ითქმოდა ან გამოიხატებოდა თქვენ მიერ, რომ თქვენი პირადი გულის ქუჩკი მაინც დაგვემალათ?..

თურმე კულისებში ისეთი ვაი უბედურება,



ქართული თეატრის ქირისუფალნი.

რომ ბ. „სევდა“ ვერცკი ბედავს იკისროს და გამოამქლავნოს ეს სიბინძურე... ამგვარი ასიტყვები მხოლოდ უტიფარი ცილის - წამებაა, მაგრამ, ვსთქვათ, ეს ასეა, ვსთქვათ რომ ჩვენს სცენაზე მაგნიირი სენი მძვინვარებს, მაგრამ ეს სიბინძურე გარედამ არის შემოტანილი, და ყველა ამაში, სხვებთან ერთათ, თვითონ ბატონი „სევდაც“ უნდა იყოს დამნაშ ვე.

მაშ რილასთვის დასკირდა ბ-ნ სევდას თავის „აბლა-უბლას“ ცალკე ბროშიურად გამოცემა?

ალბად იმიტომ, რომ არ უნდა უღალატოს ქართულ ანდაზას „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახინახირაო“. მაგრამ მალე დადგება ის დრო, როდესაც ქართული თეატრი სასურველს კალაპოტში ჩადგება და მაშინ ბ-ნ სევდასათნა ვაჟბატონებისე თამაშად ველარ იპარპაშებენ!..

ახალგაზდა მსახიობი



ი მ ლ რ ე!

(გუძღვნი ი. ვედოშვილს)

ივერის მთათა მწვერვალნი
ცაში არკმულან მძლავრადა;
გარს შემორტყმიან პატარა
ქვეყანას დასაფარადა.

მთებიდან დაბლა მოქენობს
არაგვი ლალი, ჩქარია,
უკან მოურბის ამაყად
მთებისა მწვანე ჯარია.

და ამ ტყეებში გასძახის
ბუღბუღი ენა მტკბარია,
უწყვეტლივ, შეუკრთომელათ,
ავდარია, თუ დარია.

არავითარი წამება
არ მიაჩნია ჩირადა,
თითონ მღერს, სხვასაც ამღერებს,
მოიცრემლება ძვირადა.

მისი გალობა მტარვალებს
გულში ერქმება ჭირადა,—
დაჩაგრულ ერს ჯი ახარებს,
ვალერსება ტკბილათა...

იმღერე, ერის ბუღბუღო,
გადაიქეცი ღზინათა,
თუნდაც ყორნებმა იჩხვლონ,
სულ ნუ მიიჩნევ ნურადა!

ი. მჭედლიშვილი.

„БОЛЬШОЙ КУЛАКЪ“-ს
(ქძღვნის უოფილ ქსდგეისაგან)
(მესტვირული)


თოფით გზახე მოდარაჯეს,
ძალაც გვწევდა ერთობ დიდი.
კაცის სიკვდილს შეგხაროდით,
მით გავიდგით ყველგან ხიდი.

საგინებელ-სალანძღავად,
არსით გვქონდა არვის რიდი.
(ტყვიისათვის სულ ერთია,
ბრძენი იყვეს, თუგინდ ფლიდი)

ხალხი ერთობ გადავნათლეთ,
ვუწოდეთ მათ „პროლეტარი“.
კერძო საკუთრების პატრონს,
ვათქმევინეთ მყის უარი.

მივუსიეთ ერთმანეთსა
ცოტას მქონი და მდიდარი.
დაბა, სოფელ-ქალაქებშიც,
დავაყენეთ სისხლის ღვარი.

ცეცხლს და მახვილს მივენდევით,
სინდისს მივუშვირეთ ფარი.
ერთის ნაცვლად ათასი გვყავს,



ერთგულება და სიყვარული — ემილ ბუასოს ნახატი.

სულ უბრალოდ ჟინზედ მკვდარი.
ქანქართ ხვეტას შევეუდექით,
ალაგს ძალით, ალაგს ნებით.
ხელთ შთავიგდეთ ეს ქვეყანა,
აზრზედ ამცდარ ხალხის კრებით.

დავიპყართ არე-მარე,
თვით მყრობელად შევიქენით.
ენა-პირი ვერ გამოსთქვამს,
„უტაქტიკოთ“ რაც, რომ ვქენით.



ცნობილი არტისტი ვლ. დავიდავი (გორელაგი).
(25 წლის იუბილეს გამო).

ნაცვლად ბაჟის და ხარკისა,
დავაწესეთ „წრისა“ ფული,
არ მოგვეცემდა, რა გზა ჰქონდათ,
უქრებოდათ შიშით სული.

ურჩისათვის გამოვქედეთ,
ქალაქ-სოფლათ ბორკილები.
ასის თავებს ჩავაბარეთ,
ჩვენ წინ მუხლ-ქედ მოხრილები!

ხელთ ჩავიდგეთ რკინის გზები,
ხაზინა და ნავთის მილი.

ყველგან ფეხი მოვიკიდეთ,
ყველა იქმნა ჩვენი წილი.

სადაც იყო რკინის გზაზედ,
ვაგონები დატვირთული.
ჩვენს სიაში ჩავიწერეთ,
ჩვენი იყო, ღმერთი-რჯული...

მფლობელობა შევიტანეთ,
ხმელეთიდან შუა ზღვაში.

მოსაგები იქაც იყო,
ნეტარება ვპოვეთ მასში.

ქალაქის ფულს ამა ვკარით,
ვეძიებდით ოქროს მეტად.
და ბევრიც კი მოვიპოვეთ,
ჯიბებში ჩასახვეტად.

ვაქრებს ბედი ვაწყევლინეთ.
მღვდლებსაც მივუსიეთ მრევლი.

გადავჩხვით, არ დავზოგეთ,
ტყე ვაქციეთ, როგორც ველი.

თავადთა და აზნაურთა,
გავუჩინეთ ფილოქსერა.
ღმერთი, რჯული ვაწყევლინეთ,
წაუხდინეთ თვალთა მზერა.

ზოგი შიშით შევიერთეთ,
აუტეხეთ გულის ძგერა.

სადაც წამოვეწყოდით,
მილიოდნენ ცოცხლად ვერა!

მოხუცები დავადუმეთ,
ბაღებს ამოვუდგით ენა.
თოფ-ხანჯალი ჩავაბარეთ,
შევეულახეთ ნიჭი-რწმენა.

სკოლის კარი გამოვკეტეთ,
იწყეს ქუჩა-ქუჩა მღერა.

გადიოდნენ ქალაქს გარედ,
საქეიფოდ კოლა, „ვერა“.

მიჰყვეს ყაჩაღობას ზელი,
(იკითხვეთ თუ არ გჯერათ)
დაერივნენ პედაგოგებს,
აუშალეს ზაფრის მღერა.

ბოლოს აღარც ეს ვიკმარეთ,
ჩავვივარდა ხელში ფული.
აოხრებულ ქართველთათვის

ხარბინელთა შეწირული.

საით გაქრა, ვინ წაილა,
საკითხია ერთობ რთული.

და მეც მართალს მოგახსენებთ,
გინდ მაფიცოთ ხატი-რჯული.

დამიჯერებთ? მას ჟამს შინა,

მართალს სჯობდა ყველგან ტყვილი

ესდევების მრავალ გამირმა,

მას შესწირა მსხვერპლად სული.

შეაყოლეს საზღვარ გარედ,
დაიმშვიდეს ამით გული.

ქართველთათვის შემოწირულს,
გაჰკრეს მაგრად კლანჭი-კბილი.

მოიარეს საფრანგეთი,

ავსტრია და იტალია.

რაც დარბეულთ აქ დააკლეს,

სადღეგრძელოთ იქ დალიეს...

ეხლა მესმის ყოყლოჩნობენ,
ვართ „ყველანი“ მართალიო

მაგრამ სცრუობთ „აფხანიკო“

სიყალბით ღართ დამთვრალიო!..

ტყვილის თქმისთვის არ ვწითლდებით,

შუბლზედ გვაკრავს რკინის ფარი.

ასეთია ესდევთ რწმენა,

ასეთია ესდევთ გვარი!

ერთად ურევთ ტყვილს და მართალს,
ასეთი გაქვთ იდეალი.

რა თქმა უნდა, ყველა თქვენგანს,
რჯულად გაქვთ ესე ვალი.

არ დავზოგეთ ქვეყანაზედ,

ჩვენი ქვეყნის მოღვაწენი.

და იმდენი ჩვენ ვიცოცხლოთ,

რამდენს დაუბნელეთ ღდენი.

სხვისი აღარ გავგვგება,
ჩვენსაზედ ვართ ცოტად მწყრალი.

სჯის ქონების ასაფტქვენლად,

გვიშირს ერთობ ხერხი-ძალი.

ხელთ გვიპყარია ათ-მცნებათა

ყველა ჩვენგანს „კაპიტალი“.

რომლის ძალით აღარ ვარჩევთ:

ვინ მრუდგა, ვინ მართალი.

და ჩვენც ამის მიმდევრებმა,

ხანჯალს გავიკარით ხელი.

რა თქმა უნდა, გვიხაროდა,

დრო, რომ გვიდგა სანატრელი.

ამნაირად გავათრიეთ,

სანეტარო ორი წელი.

მაგრამ ბოლოს უკუღმართი,

ჟამი დადგა ერთობ ცხელი.

დაგვიარდა სადღაც „ღუმა“;



ავირჩიეთ დეპუტატი.
 ისიდორე-ივანიკა
 და ბიკენტი ბიკი ფრანტი.
 ნოეც აქა ბრძანდებოდა,
 და სერგია „ადვოკატი“.
 აქ რომ ენას აბრტყელებდნენ,
 იქ გამოდგა ყველა ბატი.
 მეორეთაც ბელი ესცადეთ,
 გავამზავრეთ „დელიყანტი“.
 მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა,
 შეაგლიჯეს გულზედ „ბანტი“
 მესამეჯერ ავირჩიეთ,
 გადავკიდეთ მარქსის ხატი.
 ჭკუას ძალა დაატანეს,
 ჩვენს მოძღვრებას გაკრეს კვანტი.
 თურმე ტყვილად არ ამბობენ:
 „აღმართს ხნავსო მეტი ძალა“.
 რაც რომ გვსურდა „კულაკისტებს“
 ვმალეთ და ვერ დაიმალა.
 (შემდები იქნება)

№ 13

ძველი ამბავი ახალს ქერქში

— მოსალოცი ხარ ლუკა, მოსალოცი! უთ-
 ხრა მეგობარმა.
 — რა იყო, პეტრე?
 — მითხრეს, შენ შეიღოს თავი დაუნებებია
 არყის სმისთვისაო!
 — დიახ, მართალია, ენაცვალოს მამა! არაყს
 თავი დაანება და „ამბრის“ სმას მიჰყო ხელი. მა-
 ინც ამბარზე წოლა უყვარდა.
 ჩვენმა ესდეკებმაც ამ ხანად სოფლის გაბე-
 გვრას დაანებეს თავი და... საქველმოქმედო მიზ-
 ნით შეკრებილ ფულებს უწყეს არშიყობა!..
 „ამბრია“ ტკბილი სასმელია.

აკაკის

შენ მთვარე ხარ გაბადრული,
 ჩვენ—პატარა ვარსკვლავები;
 შენ—სხეული უმთავრესი,
 ჩვენ კი—შენი „მხარ-მკლავები“.
 მაგრამ შენს და მთვარეს შორის
 ვით მსგავსება არის დიდი,
 განსხვავებაც ისეთია:
 სხვა და სხვა გაქვსთ გზა და ხიდი:
 მთვარე თუმცა ღამ-ღამობით,
 ბნელ ქვეყანას შუქით ჰქარგავს,

მაგრამ ცაზე წვრილ ვარსკვლავებს
 აბნელებს და ფერს უკარგავს.
 შენ კი, როცა ევლონებში
 შენს საყვარელ ჩაგრულ ერსა,
 ერთი ასათ აკაშკაშებ,
 აბრწყინებ და აძლევ ფერსა!
 მთვარე, ოცდა ცხრა დღის შემდეგ,
 როს იღევა... როცა ცქრება,
 ვით მიღეულს წმინდა სანთელს
 სხივ სინათლე სულ უქრება!
 შენ კი, დღესაც, როს გელევა
 სიკაბუკის მძლავრ პატრუქი,
 უმფრო მძლავრათ მოკაშკაშობს
 მაგ გონების ნათელ-შუქი!
 შენსა სახელს, ღვაწლს და ნაშრომს
 უკვდავი აქვს წმინდა სხივი;
 და ვსწუხვარ, რომ დღესაც კიდევ
 შენს ბრწყინვალე ბედს უჩივი!
 ეს იმიტომ, ალბათ, რომ გსურს
 თვითვე ჰნა*ო მოსავალი,
 და შენს ძვირფასს, ტკბილ სამშობლოს
 შენის ხელით მისცე ვალი!
 მაგრამ განა არ გახარებს
 მომწიფებულ პურის ღელვა?
 გაღვსილი ნამგლებისა
 პრიალი, და ხშირი ელვა?!
 ეს ხომ იმის ნიშანია,
 რომ დაფასდა შენი შრომა!
 რომ შენს ნათესს, ხოდაბუნებს
 მოსავალი მისცა დრომა?
 და რომ მუშას, თავგანწირულს,
 გარს ალივით მოდებულებს,
 აწ ველარა შეაჩერებს,
 ანთებულს და აღვზნებულებს?!
 მაშ იხარე!—ცოტათ მაინც
 აგისრულდა გულის ნება!
 გეყო ესდენ გლოვა-ცრემლი
 ქვითინი და მოთმინება!

ნოზრევანიძე.

ღაბაღება და სიკვდილი.

II

აუტანელი ყინვაა. მდინარეები ყინვისგან გა-
 ფიცრულან. ხეები სულს ველარ ითქვამენ, საკმარისია
 მცირე ნიავეთ მათი ჭერხევა და დაიმსხვრევიან; მაგ-
 რამ მათდა გადასარჩენად ჰაერიც გაყინულია.
 ყოველი არსება ერთხმათ შენატრის:
 — „მზე, მზე! გავიყინეთ... მზე!“
 ცხოვრების ღმერთმაც თხოვნა აუსრულა. გა-
 მოჩნდა მზე. ხოლო არა პირდაპირ, არამედ აღმა-

მეზობლთა სიზღვრა



ვერ დააკავეს ნიაღვარს რკინის კედელიო,
მედგრად შეებრძვის, გამოხეთქს კედელს მის და-
ლიო;
ღმერთი არის ჩვენი შემწე, ჩვენი მფარველიო,—
ვერ იხეირებს ბოლომდის ქვეყნის მტანჯველიო!..
ილ. პონტელი.



ბუსალის სიზღვრა

(ძველთა ძველი დროიდგან)

ბნელ და ნოტიო ოთახში
ვაგდივარ მარტო, ობლადა,
ცინის კედლები მშთენია
სიტყვა-ნუგეზის მთხრობლადა.
მაგრამ რომ უფროც დამტანჯონ
ვერ გადმაქცევენ მონადა
და აქაც მუდამ ვიმღერებ
სიბნელის დასამხობლადა!

უწინ სიცოცხლევ მომესპოს,
უდროოდ მქამოს მიწამა,
თუ ვუღალატო ოდესმე,
რაც გულმა ერთხელ იწამა!

რა არის ტანჯვა-წვალება,
პირადი მწუხარებაო,
თუ კი სიბნელის ნაცვლადა
ნათელი დამყარდებაო,
თუ მონობასა ჩვენ მიერ
ძირ-ფესვი გაეთხრებაო
და ეს ღუბჭირი ცხოვრება
შეიცვლებ-განახლდებაო?!

უწინ სიცოცხლევ მომესპოს,
უდროოდ მქამოს მიწამა,
თუ ვუღალატო ოდესმე,
რაც გულმა ერთხელ იწამა!..

აი ამისთვის თუ გინდ რომ
ისე გავიდეს წლებიო,
ვერ დაინახო მზის სხივი,
სამშობლოს მინდორ-მთებიო,
გულს აღარ მოხვდეს ნიავი,
იქიდგან მონაბარიო...

თუ დავიკვნესო ერთხელაც,
შემირცხვეს უღვაშ-წვერიო!..

უწინ სიცოცხლევ მემესპოს,
უდროოდ მქამოს მიწამა,

მირბის, მიმაფრენს ჩემი ღორი ჭყვირილ-ღრუტუნით.
კლდესა და ღრესა თავს ევლება სულ მალაყ ხტუნვით;
გასწი ჰე ღორო, შენს ჭყვირილსა არ აქვს საზღვარი,
ორთავეს გვფარავს ევლოგისა ხ ტი და ჯვარი.
ჩვენ უკან გვრჩება საფლავეები უჯგროდ და ობლადა.
წყვედიანი გვფარავს ჩვენის შუბლის შესამკობელად...
ბასწი, ბაფრინდი ჩვეულებრივ, ჩემო ღრუტუნავ,
რა გემართება, რას ჩერდები, რატომ არ ხტუნავ?!...
ღონ—კანი.

ცერად გადმოაშუქა მან თავისი სხივები, თითქო შე-
შურდა მათთვის არსებულ მზესაო.

ყოველი სულიერი უკმაყოფილო დარჩა გარ-
და ყვაფ-ყორნებისა.

მხოლოდ ყვაფ-ყორნებმა მოითბეს ზურგი,
ფრთები აამოძრავეს და გაიძღეს კუჭი გაყინულ
სულიერებითა, რომლებიც იმსხვერპლა ყინვამა.

— „მზე, მზე!...“ შენატრის ახლად დაბადე-
ბულის უნდილ ბივშვის დედა ჩვენ მაცხოვარსა.

„ამოდი მზევ!.. მიეცი ღღეგრძელობა!..“ შე-
სძახის ახლად დაბადებულ უღდეო შვილის მამა.

გამოცდილი ბებია-კი თავისთვის დუდუნებდა,
დასტკერდა რა მომაკვდავ ახლად დაბადებულსა:

— „სუსტია ზამთრის მზე ამ უნდილ ბავშვს
ვერ მოშუშავს. მზის ჩასვლას თან გაჰყვება...“

ეს მზეც ჩავიდა და ახლად დაბადებულ ბავშ-
ვმაც უნუგეზო მშობლებს მხოლოდ პაწია ლეში და
მწარე მოგონებანი დაუტოვა.

ს. გლახაშვილი.

დიდი რამ არის!

დარჩო.— ამბავი?...
ფირუზ.— ამბობენ, მეორე გემნაზია დაუხუ-

რავთო.

დარჩო.— ეჰ, მამა უტყონდათ, დიდა რამა
ჰგონიათ გემნაზია!.. ერთ დროს ტილიბუქურაც
დახურეს, მაგრამ ისევ გააღეს!



— რა მენატრება ცხენზე ჯდომა!
— მომებარეთ და მალე გაგხედნით!!

თუ ვუღალატო ოდესმე,
რაც ერთხელ გულმა იწამა!...
მხოლოდა გული მას კვნესის
და სული შფოთავს ძალზედა—
აი რომ ვხედავ დარაჯსა
—თოვ გადებულსა მხარზედა...
იგიც ტყვე არის... მეც ტყვე ვარ...
მაშ, რად მდარაჯობს, რაზედა?!
ნუ თუ ერთხელაც არ ფიქრობს
საბრალო, თავის თავზედა?!.
აი, მოესპოს სიცოცხლე,
შესჭამოს შავმა მიწამა,
ვინც რომ მონობა ასე ღრვად
მას ჩაუნერგა, აწამა.
ასე მღეროდნენ ძველად
ციხეში, ციხის გარედაც
და ამის სმენა სუყველას
გულს უღონებდა მწარედა!..

პეტრე.

პეტარდები

(კვირიდან-კვირამდე)

◆ როგორც მკითხველსაც მოეხსენება, მას შემდეგ, რაც „თავისუფლება გამოცხადდა“, -ჩვენში, შესამჩნევად „აღარძინდა“ საზოგადოებრივი ინტელექტუალური ძალებიც... სხვათა შორის, კარგა ხანია რაც „მოქმედობს“ ერთი „სიმპატიური“ კულტურული წრე, — **მიძინება—განცხრომის საზოგადოებათ**“ წოდებული, დაარსებული ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა მიერ.


ამ „საზოგადოების“ დამფუძნებელ წევრებათ ითვლებიან: ფ. გოგინაიშვილი (მდივნათაც ითვლება), შ. არაგვისპირელი, პრაფ. ცაგარელი, დუტუ მეგრელი, ან.

ერისთავი, კიტა აბაშიძე, მიაიშვილი, მელიქიძე, ბერიძე, ბოცი, დ. კლდიაშვილი, დ. კარიჭაშვილი, მათეოსი, ქართული საქველმოქ. საზოგადოება“, „ქართ. წიგ. გამ. სახანაგობა“, „სასოფლო-სამეურ. საზოგადოება“ და მრავალი სხვა.

◆ დანამდვილებით გავიგეთ მიზეზი, რომ ქართულ თეატრის გადასაკეთებლად საჭიროა რაღაც რამდენიმე თვე, თუმცა ჭიანჭურვებმა წლობით: როგორც არქიტექტორმა აგვიხსნა, რომ დროზედ დევითაგვრებინათ თეატრი, უკანასკნელის „პაეროვანი საძირკველი“ ვერ ბაუძლებდა თურმე ერთბაშად თეატრზედ მოხმარებულ მასალას და ესრე კი, დიდი ხნის გამოშვებულში, შეეპარებოდა და შეეპარებოდა. ერთ წელიწადს კედლებს შევლესავთ, მეორეს კარ-ფანჯრებს ჩავსვამთ, მესამეს იატაკებს დავაგებთ და სხ. ამასთანავე „ჰამ“ სამუშაოც არ გამოვლევდა და „ჰამაც“ საძირკველმაც იქნება გაუძლოსო. რაც შეეხება ქართველ მსახიობთ და საზოგადოებას, — თეატროთაც იოლად წავლენ, რადგანაც თბილისში ეხლა იმდენი სახლი არ არის, რამდენიც „პროექტორებია“...
გეჟილებისა არ იყოს, რა კარგია, მკითხველო, არქიტექტორობაც და რა მოხერხებული ხალხიც არის: მათეოსი სინამდვილით დაგიმტკიცებს და დაგაჯერებს, რაც გინდა სიყალბე და სისულელე იყოს...

◆ ამას წინეთ, ქართ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების გამგეობას მიუხედავად მემეტყინებ ბბ. თაყაიშვილისა და კარიჭაშვილისათვის, რომ გამოეძებნათ და გამოეკლიათ, თუ სულ რამდენი წევრი ჰყოლია „საზოგადოებას“ ისეთები, რომელთაც უკანასკნელ ხუთ, ან სამი წლის გამოშვებულში მინც არის პირნათლად აღსრულებიანთ თვისი მცირეოდენი საზოგადო მოვალეობა უფიჯინოთ თავის დროზედ შეეტანოს საზოგ. საწევრო მცირე გადასახალი. გამგეობას განზრახვა ჰქონდა თურმე იმ გვარი პირები, სხვების მისაბაძად, საპატიო წევრებად ამოერჩია და საისტორიო გავხადა მათი ხსენება. მაგრამ, რომორც დასახელებული პატივცემული ისტორიკოსები ირწმუნებიან, იმათ დიდი-ხნის ჩხრეკა-კვლევას უნაყოფოდ ჩაუვლია, რადგანაც ვერც ერთი ასეთი ფენომენალური წევრი ვერ აღმოუჩენიათ...

◆ შეკითხვა. მკითხველო, დიდი გულთ-მისანი ადამიანი იქნები თუ, გამოიცნობ: ქართულ გინნაზიის შენობა უფრო მალე დამთავრდება, თუ რუსეთში უფრო ადრე დამყარდება კონსტიტუციონალური წესწყობილება?!...
◆ მე ვამტკიცებ, რომ ტყუილია ის ხალხური თქმულება, ვითომც „ყური იმიტომ არ იზრდებოდეს, რომ ათას რამეს იგონებს“ და ამ თქმულების წინააღმდეგ, თვალხილულ მაგალითს წარმოადგენს, სხვა ცხოველთა შორის-შილდელი (კახეთშია) დიპკვანი ა. ურუტოვი, რომელსაც იმ სიფართე ყურები ჰქონია, რომ არა ერთი ყარაბაღელი... შენატრიდა. ამ „ჩვენი ქვეყნის რაინდს“ ქვეყანა და ხალხი ფეხებზე ჰკიდია: დადის თურმე „საბასტროლოდ“ სოფელ-სოფელ და მალაჯს რა თავის ცოლ-შვილიანობას, სადაც ლამაზი ქალიშვილი მოეწონება „პრედლოკენიეს აძლევს.“ შემდეგ ეს „ხლესტაკოვი“, არშიყობით რომ გულს იჯერებს, აჯერებს გულ-უბრყვილო და საქონლის საკვების მოუსვლელით ბაჭივრებულ გლეხობას, რომ სადაც სამშობლო სოფელში, ვითომ ბეკრი ზედმეტი საკვები აქვს დამზადებული და წინადადებას აძლევს „საქონელი მომბაბრეთ იაფად გამობიკვებამთო“. ამგვარად ჰკრებს საქონელთან ერთად „შესანახ ფულსაც“ და გადადის სხვაგან... მის მიერ მოტყუებული ქალიშვილები და გლეხები სოხვენ



ყველას, თუ იცოდნენ შეატყობინონ ადრესი დასახელებულ დიაკონისა, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია: გარეცხილი სინილისი, გაიძვერა სახე და უზომო ფართო ყურები.

◆ მკითხველმა უწყის, რომ **ს.-ფედერალისტები**, სხვათა შორის, ქართული ენის „თავგამოდებული დამცველნი“ არიან, მაგრამ უმრავლესობა ამ მოძღვრების მიმდევართაბანისა ცხოვრებაში, ან ერთხელად რუსულად კრიალობდნენ, ან ისეთი დამახინჯებული, დომხალივით არეული რუსულ-ქართულით ლაპარაკობდნენ, რომ დაკვირვებულ მსმენელს უნებლიედ ნაღვლიანად ეცინება.

სხვათა შორის იყო ასეთი შემთხვევა: რამდენიმე ახალგაზრდა ს.-ფედ. ურმით მიემგზავრებოდა ერთი სოფლიდგან მეორეში. პირველ ხანად ახალგაზრდობამ „მოღისებრ“ მეურმეს „ბასაზნატებლობა“ დაუწყო და, სხვათა შორის რამდენიმე მაგალითებით ბანუმატა ეროვნულ ენის შერჩენის და ბანსპეტაკების საჭიროება. მეურმეც შეხალისიანდა, ჩაება ლაპარაკში და კამეჩებს ხალისიანად მიერეკებოდა. მაგრამ, არ გასული ბევრი დრო, რომ ჩვენმა „ენის დამცველებმა“ გააბეს დაუსრულებელი კრიალი რუსულათვე.

ზზზ!..—მხოლოდდა ესმოდა მეურმეს და თანდათან თავს ქინდრავდა; კამეჩებიც უფრო და უფრო ფეხს უკლებდნენ და ბოლოს სულ ბაჩრდნენ.

შენ ეი, ბიძია, ურემი რომ გააჩერე, აქ „ზაკუსის“ მირთმევას ხომ არ ბვიპირებ?!—მუჯღუგუნის წაკვრით შენიშნა ერთმა მეურმეს.

არა, ბატონო,—უპასუხა გამოფხიზლებულმა მეურმემ, —კამეჩები იმიტომ გაჩერდნენ, რომ უნდათ ყური დაგიბდონ და რუსული ისწავლონო.

◆ **საყველიეროდ.** ერთმა თავადმა მეტად ცრუ ლაპარაკი იცოდა და რომ თავიდგან აეცდინა შერცხვენა, რაიც იმას არა ერთხელ ეწვინა მობაასის მხილებით—თავადს თან დაჰყავდა მხლებელი, რომლის მოვალეობაც მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ თავადი რომ სიცრუეს მოჰყვებოდა, მხლებელი ჩოხის კალთის დაწვეით ანიშნებდა.

ერთ სადილზედ თავადი უმაღ ბაიტაცეს თავის ტყუილებმა.

დიახ, ბატონებო,—დაიწყა იმან,—ბუშინ, ნადირობისას, მოვკალ, სხვათა შორის, ერთი მელაც და თქვენ იქნება არ დაიჯგირით, მაგრამ გარწმუნებთ, რომ კული იმ წყევულს საყენ ნახევარზე მეტი ჰქონდა!

მხლებელმა კალთა დაუწია. ზოგს სიცილი აუვარდა.—

დიახ, ბატონებო,—განაგრძო შეფიქრიანებულმა თავადმა,—კული მელას ერთ საყენამდე ჰქონდა?

მხლებელმა უმაღ დაუწია კალთა.

სწორეთ მობახსენათ, მე თითონაც გავეცდი, რომ იმოდენა, თითქმის ორ-არშინიანი კული — შევნიშე,— გადააკეთა სიტყვა.

კალთა მაინც დასწია.

თავადმა კიდევ უკლო მელას კულის სიგრძეს, ერთ ადლამდე ჩაოვიდა, მაგრამ შეუბრალებელმა მხლებელმა მაინც კალთა დაუწია.

შე ვირო, შენა,—შეღრიალა თავადმა,—რომ ერთხელ კალთასა მწევ, ის გასაოხრებელი მელა სულ უკუდო ხომ არ იყო?

◆ ინგლისში თურმე ყოფილა ისეთი დადგენილება: თუ რომ რომელიმე მამა კაცი, წლის გასულს დაიფიცებს, რომ მთელი წლის განამელობაში ცოლს არ წახუბებია და არც უნანია ცოლის შერთვა,—ასეთ კაცს ეძლევა სა-

ახალწლო საჩუქარი.

როგორც სტატისტიკოსების გამოკვლევიდან ვიხილავთ, მეთორმეტე საუკუნიდან მოყოლებული ჩვენ დრომდე ასეთი ილბიანი აღმოჩენილა სულ 5 კაცი.

◆ რამდენ ხანს დაჰყვეს ადამ და ევამ სამოთხის ბაღში?—შეეკითხა ერთხელ მასწავლებელი მოსწავლეს. ვიდრე ვაშლი დამწიფდებოდაო,—უპასუხა მოსწავლემ.

გ. ა—ციხელი.

*
* *

საჭიროა კულის ქნევა, მალლა აცოცებისთვისა...
ეს ილიამ თუ დაწერა — ჩვენთვის არა—სხვებისთვისა,

მართლაც, აბა, თუ გინახავთ კულის ქნევა,—ჩვენ რომ ვიცით?! ქედის მოხრა, ქვემძრომობა, ლაქუცობა ფლიდურ ფიცით!..
ოლონდ უფროსს კი შევეუძვრეთ, და ღირსებას ყოველს ვკარგავთ; რომ დავამხოთ ერთმანეთი ვმაბეზღარობთ, ენას ვქარგავთ...

მე ვერავის მიფათითებ, თუკ ნიშანში—რა ბევრი მყავს!..
რა ექნა, ძაან ვერიდები სიბერის დროს საბრალო ტყავს!

თომა პუსა.

№ ს.

აღმზრდელ დედის მკერდს პატისა სცემდა, სამშობლო მხარეს თავს ევლებოდა, იმის მომავლის აყვავებისთვის სიცოცხლეც აღარ ეშურებოდა.

ხალხში სთესავდა ძმობას, ერთობას, ადამიანთა თანასწორობას;

მასთან, საქვეყნოდ სასტიკად ჰგმობდა ჩაგრულთა შორის შურსა და მტრობას.

გაბრაზებულმა ხალხისა მტერმა, ძალა თვის ხელში რა დაინახა, შურის ძიებით აღვისილის გულით მყისვე სასჯელი მას მოუწახა...

კიდევ დამტრეცდა და მოვისმინეთ ჯალათ-მსაჯულთა ჩვენ განაჩენი:

მამულს წარსტაცეს ერთგული შვილი, თვისის გვარ-ტომის შემკობ-დამშვენნი.

მაგრამ, სამშობლოც, შენ ხომ ჩვეულ ხარ საუკეთესო შვილების დევნას;

მტერი ამითი ველარ წაგვართმევს დიად მომავალს, შევებას და ღხენას.

ოდეს სამშობლოს შვილი შორდება,

უარეს ტრფობით გული ევსება,
სამშობლოსადმი მას სიყვარული
უფაქიზდება, უორკედება...

მიხა ბახა.

შენხვედრა

ერთხელ სვედებით გარე მოცული
დავსეირნობდი; თავსა ვირთობდი,
წინ შემხვდა გლახა... იმისი ცოდვით
შევრცხვი, დავიწვი... ყველასა ვგმობდი!

შიმშილით ძალა-გამოღეული
ის ძლიეს-ღა იდგა, თრთოლვა გაჰქონდა,
და გამხმარ სახით ხელ-გაშვერილი—
„მიშველე, ძმაო!“—შემომძახოდა.

მე გავიკარი ჯიბეზე ხელი,
მაგრამ შევსდექი, შევხედე გლახას:
„მოკვდი შიმშილით, შორს ჩემგან მეთქი!“—
შევიძახე მალღა და გაუღდექ გზას.

უგნურო გლახავ! განა ვერ ჰხედავ
მთელს რიგზე ძვირფასს პალატს და სახლსა?
შენი მარჯვენით აგებულისა
და ვგრე ურცხვად მე მიშვერ ხელსა?

არა სიძუნწე და გულ ქვაობა
არ მამედინებს გროშის მოცემას,—
არამედ ის, რომ უნდა გესმოდეს:
ცოცხალი არსი ნუ სწევ უტყობას!

დ. კასრაძე.

* * *

ტანჯვა-წამება კიდევ ბატონობს
თავისუფლება აღკრძალულია
ბოროტმა ძალამ ფრთა გამოისხა
ტკბილი სიმართლე დამარხულია.

მაგრამ დადგება დრო სანეტარო—
როცა იქნება აღრე თუ გვიან—
ლომ გულ გმირების მედგარი ბრძოლით
ქველი კერპები დაიმსხვრევიან.

ძალმომრეობა განადგურდება,
აღზღდება მკვდრეთით ჩვენი სიმართლე
ბნელი ძალებიც მოისპობიან
მოგვეფინება მაშინ სინათლე.

ა. სალომინაველი.



საორსულო კასა

რესტორმანის კასებმა
თბილისსაც მოსდეს ბრჭყალები,
ობობას ქსელში გააბეს
აქ მელოგინე ქალები.

სწერენ და სწერენ საჩქაროდ,
არ აქვთ სირცხვილი, რიღია.
რა ენადლეებათ წურბელებს:
მოგება ფრიალ დიდია!

დაძრწიან კარით-კარამდე,
ეძებენ ორსულ ქალებსა,
ვალების საშოგენლოდა,
დააცეცებენ თვალებსა

მაგრამ საბრალო მაქანკლებს
ეწვიათ მწარე ბედია,
ქანქარით ჯიბის გავსება
გამოდგა დანაყბედია.

მსწრაფლ მოესიგნენ „სალაროს“
დაჰკრეს ყოფინა, განგაში,
ეკვეთნენ, მაგრამ რალა დროს?
თავგები ხტიან კასაში!

ნელიკო.

ჩემი აღსარება

თუნდ ცხოვრებამ მთლად გამწიროს
არვინ დამრჩეს მეგობარად,
შიმშილისგან სული ძრწოდეს
დავდიოდე კარის-კარად,


დაფლეთილი, დაჩაგრული,
ყველას გულის შესაზარად,
უნუგეშოდ, უიმედოდ
მარტო ღეთისა ანაბარად,—

მე კი მაინც ჩემსმას ვიზამ:
არ დავიხრი ამყ თავსა,
მლიქვნელობას, ქვეშ-ქვეშ ძრომას
შესაფერად დავდებ ფასსა.

ზიზლის თვლით მას შევსცქერი,
ვინც ამ რიგად იკვლევს გზასა,
ღალატობით, სხვის გაცემით
დაიმკვიდრებს მომავალსა.

ის სიმართლეს ფეხ-ქვეშ თელავს,
ულალატებს თვის ღვიძლ ძმასა,
თუ მოგენდოს,—ნუ მიინდობ,
ნუ მოელო მისგან კარგსა!

დათიკო მამათელი.



ავტონომიის ჩამოღობა.

*
**

ვიცი, ერთხელ მოისპობა
ჩაგრულთ კენესა, გლოვის ზარი;
მართალთათვის აღმართული
გოლგოთაზე ტანჯვის ჯვარი!
ვიცი, ერთხელ აღიგვება
უმართლობა, შური, მტრობა
და მათ ნაცვლად დამყარდება
სიყვარული და ერთობა!

აღ. ჩახუნაშვილი.

*
**

ამდენი ხნის სიბეჩავემ
გულს შემატა მღუღარება,
ფხედავ, მესმის სევდიანი
ჩვენი ქვეყნის მწუხარება!
დრო მოვა და ცა იფეთქებს,
ნივადვარი წალექს ტალახს—
ხორცმეტები, ცრუმზრუნველნი
მოშორდება ჩვენ ბედ-შავ ხალხს!

სანდრო ბ—შვილი.

გასართობი

(კითხვა—პასუხი)

—:—

— რა აზრისა ხარ მესამე „ღუმაზე“? შენის აზრით, ვინ გაიმარჯვებს?

— რა თქმა უნდა, „სოციალ-დემოკრატი“!..

— როგორ, რატომ?!

— იმიტომ, რომ ჩვენი უბნის ზედამხედველი, პავლე ნიხურაძე „აფხანიკოს“ მეძახის და ამის გარდა, კიდევ საცა-კი მნახავს, სალამს იძლევა და ამასთანვე ქულს მიხდის!..

— ბ—ნო კბილის ექიმო, რატომ თქვენს „კაბინეთში“ სკამები არ მოიპოვება?..

— ჩემს ავადმყოფებს ჯდომა არ უყვართ, სულ ბაც-ხარებულნი დარბიან და კრუსუნებენ!..

— ქალ-ბატონო, ინებეთ ჩემი ხელი!

— გმადლობთ, მე თითონ ორი მაქვს.

— პეპანჯან, რადა ხარ მაგრე დაღვრემილი და სახეც მარცხნივ დაღურჯებული მაქვს?!..

— ცოლმა სიყვარულისაბან მიშვილა, რომ სხვას არ მოვეწონო!..

გრი—ი.

რედ—გამომცემელი ვალერიან გუნია.